# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„--11--" ----01---------- 2013 წელი

ეგზ. N2

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს"ფინანსური აუდიტის ანგარიში №3/00 (01.07.2007-01.01.2010)

## სარჩევი

შესავალი......3

შემოკლებანი......3

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა ......4

წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა ......5

ძირითადი ტექსტი ......6

საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები ......9

მოგება-ზარალის ანგარიშგება (საკუთარი სახსრები)......10

შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან......23

## შესავალი

| | |
|---|---|
| აუდიტის ობიექტი | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“ - ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N67ა |
| აუდიტის ფორმა | ფინანსური აუდიტი |
| აუდიტის საფუძველი | საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 19 აგვისტოს N86/43 ბრძანება |
| აუდიტორები | უფროსი აუდიტორი თემურ ჩილინდრიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები: ენვერ დოლიძე, ნესტან ჯანელიძე და თამარ ბროლაძე |
| აუდიტის პერიოდი | 2007 წლის 1 ივლისიდან 2010 წლის 1 იანვრამდე |
| აუდიტის ვადა | 2010 წლის 19 აგვისტოდან 2010 წლის 28 სექტემბრამდე |
| აუდიტის მეთოდი | წარმოდგენილი ბალანსების, ინფორმაციის, ცნობებისა და პირველადი დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი, გამოკითხვისა და გასაუბრების მეთოდი. |

## შემოკლებანი

| | |
|---|---|
| სამინისტრო | - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| სსიპ | - საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| სააგენტო | - სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“ |
| შესყიდვების სააგენტო | - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო |
| სააგენტოს დებულება | - სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს“ დებულება |
| ხელშეკრულება | - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ |
| შპს | - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| ი/მ | - ინდივიდუალური მეწარმე |
| გლუკი | - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი |

## საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“ შეიქმნა „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო. აღნიშნული კანონის მიხედვით, სამოქალაქო რეესტრი არის საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, ბინადრობის მოწმობისა და პასპორტის გაცემის რეგისტრაციის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მეშვეობით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 30 იანვრის №209 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად სააგენტოს მიზნებია:

- საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა მონაცემების ერთიანი რეესტრის ფორმირება
- ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება
- სამოქალაქო რეესტრის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა და ა.შ.

აქედან გამომდინარე მისი ძირითადი ფუნქციებია: დაბადების, ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, სახელის, მამის სახელის, გვარის, მოქალაქეობის შეცვლისა და გარდაცვალების ფაქტების რეგისტრაცია. სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება, შეცვლა, აღდგენა და გაუქმება. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ პირთა რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან მოხსნა, შესაბამისი პირადობისა და ბინადრობის მოწმობების გაცემა. საქართველოს მოქალაქეთა საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნა, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის გაცემა და შეცვლა, საქართველოს მოქალაქეობის დადგენა, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, მიღების, აღდგენისა და შეწყვეტის საკითხთა განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება. მოქალაქეობისა და მიგრაციის მონაცემთა ბაზის შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა. უცხო სახელმწიფოში გასაგზავნად განკუთვნილი, საქართველოში გაცემული დოკუმენტების გაფორმება, ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება. სამოქალაქო რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა. მის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა, ადმინისტრაციული სახდელების შეფარდება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

დებულებით სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

- საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები
- სააგენტოსა და მისი სამსახურების მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები
- მიზნობრივი კრედიტები და გრანტები
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები

სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით, მაგრამ მის მიერ მიღებული შემოსავლების განკარგვა და ბიუჯეტთან ურთიერთობა ხორციელდება ცენტრალიზებულად.

სააგენტოს ექვემდებარება საქართველოს რაიონებში განთავსებული 72 და ერთი აფხაზეთის ტერიტორიული სამსახური, 5 ქორწინების სახლი (2 თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და რუსთავის), სამოქალაქო აქტების ცენტრალური და ქ. თბილისის არქივები, საინფორმაციო–სამისამართო ბიურო და ბიომეტრიული დოკუმენტების პერსონალიზაციის სამი ცენტრი (თბილისის, ქუთაისის, ხელვაჩაურის).

სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები, ემბლემა და ბეჭდები საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

## წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

სააგენტოში 1/1/2006-დან 31/12/2007-მდე პერიოდის სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების განკარგვა-გამოყენების კანონიერების თემატური შემოწმების შედეგად დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, მაგალითად:

- არ ჩატარებულა სააგენტოს 2007 წლის წლიური ბალანსის აუდიტორული შემოწმება. ეს შემოწმება უნდა განეხორციელებინა სამინისტროს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ აუდიტორს. აღნიშნულის გამოსასწორებლად, სამინისტროსთან შეთანხმებით 2007, 2008 და 2009 წლების წლიური ბალანსები სააგენტოში შემოწმებულია კერძო აუდიტორული კომპანიების მიერ.
- მატერიალური ფასეულობებისა და მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ინვენტარიზაციით გამოვლინდა ზედმეტობები. ანალოგიური ფაქტები მიმდინარე აუდიტის პერიოდშიც დაფიქსირდა, რაც ძირითადად გამოწვეულია უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური ფასეულობების შემოსავლებში დაგვიანებით ასახვით.
- სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია შესაბამისი მარეგულირებელი აქტების სისტემატური დარღვევებით, რაც ძირითადად გამოსწორებულია, მაგრამ ამ კუთხით კვლავ დაფიქსირდა გარკვეული სახის ნაკლოვანებები, რომლებიც აისახა წინამდებარე აქტში.
- მივლინების ხარჯების შემოწმებით გამოვლინდა საავანსო ანგარიშების არასათანადოდ შედგენის, დაუთარიღებელი, დაუნომრავი და ხელმოუწერელი სამივლინებო მოწმობების წარმოებისა და თანამშრომელთა მივლინების შესახებ ბრძანებების დაგვიანებით გამოცემის ფაქტები. აგრეთვე რამდენჯერმე მივლინების ხარჯების ჩამოწერილი იყო შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა მიმდინარე აუდიტის პერიოდის პირველ თვეებში.

## ძირითადი ტექსტი

სააგენტოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ORIS Accounting-ის კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ბუღალტრული აღრიცხვა ცენტრალიზებულია. სააგენტოს საბალანსო ერთეულები არ გააჩნია.

სააგენტო ბუღალტრულ აღრიცხვას უნდა აწარმოებდეს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა ოფიციალურად დადგენილი არ არის. ფაქტიურად, სააგენტოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ნაწილობრივ საკასო, ნაწილობრივ კი დარიცხვის მეთოდით. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის გადახდა ხორციელდება მომსახურების გაწევამდე, ხოლო ამ შემოსავლების აღიარება ხდება საბანკო ამონაწერების მიხედვით, შესაბამისი თანხის სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვისთანავე. ამრიგად, ყველა შემოსული თანხა აღიარებულია შემოსავლად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზით საჭირო ხდება აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება[1].

ასევე საკასო მეთოდით აღირიცხება რამდენიმე სახის ხარჯი, ანუ ვალდებულება აღიარებულია არა შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღების დროს, არამედ მისი ღირებულების ანაზღაურებისას. ტერიტორიული სამსახურების მიერ გაწეული კომუნალური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დიდი დაგვიანებით იგზავნება ცენტრალურ აპარატში და მისი ხარჯად აღიარება ხდება მხოლოდ საკასო ხარჯის გაწევის შემდეგ. მაგალითად, სააგენტოს აფხაზეთის ტერიტორიულ სამსახურში 2009 წლის დეკემბერში გაიხარჯა 9.3 ათასი ლარის ღირებულების ელექტროენერგია და გადახდილ იქნა 2010 წლის 12 იანვარს. ელექტროენერგიის ხარჯი აღიარებულია 2010 წელს ნაცვლად 2009 წლისა.

ასევე, საკუთარი სახსრებით გაცემული ხელფასების და პრემიების ხარჯები ძირითადად ტარდება მომდევნო თვეებში. მაგალითად, 2007 წლის დეკემბრის პრემია 21.8 ათასი ლარის ოდენობით გაცემულია 2008 წლის იანვარში და მიკუთვნებულია 2008 წლის ხარჯებს, რადგან გატარებულია 2008 წლის 8 იანვარს.

ორ შემთხვევაში, უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემული შენობა-ნაგებობები მიწის ნაკვეთთან ერთად ბალანსზე აღრიცხულია დაგვიანებით. კერძოდ, სააგენტოს 2007 წლის 11 მარტს გადაეცა დაბა ადიგენში, ერისთვის ქ. №22-ში მდებარე მიწის ფართი და მასზე

---

1 დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, „1.ნაკადების აღრიცხვაში ასახვის დრო დარიცხვის მეთოდით განისაზღვრება“. „2.დრო, რომელსაც მიეკუთვნება მოვლენა, არის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის, მომსახურების მიწოდების, საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნის, სოციალური დახმარების გადახდაზე მოთხოვნის დადგენის ან სხვა უპირობო მოთხოვნების დადგენის მომენტი“. „3.დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, ნაკადი აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც შესაბამისი ინსტიტუციონალური ერთეული ღებულობს ან გასცემს განსაზღვრულ მოვლენასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს ან შესაძლოა, რომ ამ ერთეულმა მომავალში მიიღოს ან გასცეს სარგებელი და ამასთან, შესაძლებელია ამ მოვლენის ფულადი ღირებულების საიმედოდ შეფასება“. „4.ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ფულადი სახსრები მიღებული ან გადახდილი“ და. აშ.

განთავსებული შენობა-ნაგებობის პირველი სართული, საერთო ღირებულებით 46.4 ათასი ლარი. ასევე, სააგენტოს 2007 წლის ბოლოს (მიღება-ჩაბარების აქტზე თვე და რიცხვი არ არის დაფიქსირებული) გადაეცა ქ. წნორში, რუსთაველის ქ. №39-ში მდებარე შენობის ნაწილი, მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად, საერთო ღირებულებით 13.5 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივები ჯამში 59.9 ათასი ლარის ღირებულებით უნდა ასახულიყო 2007 წლის ბალანსში, რაც არ განხორციელებულა და ისინი მხოლოდ 2008 წლის ბალანსში აისახა[2].

---

2 დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-10 და 51-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, „პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ ორგანიზაციის მიერ სხვა ვადა არ იქნება დადგენილი“ „ხარჯვითი ოპერაციის აღრიცხვაში ასახვის დრო დარიცხვის მეთოდით განისაზღვრება, ეს არის დრო, როდესაც განხორციელებულ საქმიანობათა, ოპერაციათა თუ სხვა სახის ღონისძიებათა შედეგად ორგანიზაციებს ექმნებათ უპირობო ვალდებულება, აწარმოონ გადახდები ან სხვა სახით გასცენ თავიანთი რესურსები“.

# საბალანსო ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31/12/2007 | 31/12/2008 | 31/12/2009 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში | | 32.6 | - | 234.0 |
| სხვა ანგარიშები ბანკში | | 464.6 | 353.4 | 27.0 |
| მოთხოვნები მივლინებით | 1 | 0.1 | - | - |
| მოთხოვნები დანაკლისებით | 1 | - | 0.3 | 10.0 |
| მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახ-დან | 1 | 2.2 | 2.2 | 2,216.7 |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 1 | 117.1 | 40.0 | - |
| შენობა-ნაგებობები | 2 | 4,259.8 | 5,956.7 | 7,413.2 |
| მანქანა დანადგარები და ინვენტარი | 2 | 3,703.0 | 4,617.9 | 9,560.0 |
| სხვა ძირითადი აქტივები | 2 | 140.3 | 139.2 | 1,859.0 |
| სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები | 2 | 7.0 | - | - |
| სხვა მატერიალური მარაგები | 3 | 2,720.1 | 963.6 | 1,141.1 |
| არაწარმოებული აქტივები | 2 | 80.3 | 160.4 | 394.1 |
| **სულ აქტივები** | | **11,527.1** | **12,233.7** | **22,855.1** |
| | | | | |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | | | |
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომს. | 1 | 95.3 | 0.4 | 308.9 |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 1 | - | - | 566.7 |
| გადასახდელი დღგ | 1 | 79.5 | 24.2 | 126.8 |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები | 1 | 7.0 | 10.3 | 56.0 |
| წმინდა ღირებულება | | 11,345.3 | 9,827.0 | 19,844.5 |
| გაუნაწილებელი მოგება | | - | 2,296.1 | 1,952.2 |
| ფინანსური ვალდებულებები | | - | 75.7 | - |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **11,527.1** | **12,233.7** | **22,855.1** |
| | | | | |
| საცნობარო მუხლები: | | | | |
| ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში | | - | 823.3 | 1,472.6 |

# საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

(ათას ლარებში)

| | შენიშვნა | 2007 წელი 1/7-31/12/07 | | | 2008 წელი | | | 2009 წელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაზუსტ. გეგმა | გადახდა | ფაქტ. | დაზუსტ. გეგმა | გადახდა | ფაქტ. | დაზუსტ. გეგმა | გადახდა | ფაქტ. |
| **სულ საბიუჯეტო შემოსავლები სულ** | 4.1 | **5,412.4** | **4,922.6** | **3,792.2** | **9,078.2** | **8,706.9** | **8,532.7** | **16,508.7** | **16,478.6** | **10,358** |
| ბიუჯეტი | | 4,805 | 4,794.5 | 3,657.3 | 8,155.1 | 8,137.2 | 8,069.5 | 12,955.0 | 12,954.7 | 8,391.4 |
| გრანტი | 4.2 | 607.4 | 128.1 | 134.9 | 923.1 | 569.7 | 463.2 | 3,553.7 | 3,523.9 | 1,966.6 |
| **ხარჯები ბიუჯეტი (სუბსიდიები), მ/შ** | 4.1 | **4,994.3** | **4,199.5** | **3,657.3** | **6,848.1** | **6,830.5** | **8,069.5** | **7,983** | **7,982.7** | **8,391.4** |
| შრომის ანაზღაურება | | | 1,795.7 | 1,795.7 | | 4,357.4 | 4,357.4 | | 3,994.8 | 3,994.8 |
| სოც. ანარიცხები | | | 361.4 | 361.4 | | - | - | | - | - |
| საქონელი და მომსახურება | | | 2,042.4 | 905.4 | | 2,434.6 | 3,250.7 | | 3,936.1 | 3,830.2 |
| სოციალური უზრუნველყოფა | | | - | - | | 38.5 | 38.5 | | 51.8 | 51.8 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | | | - | 594.8 | | - | 422.9 | | - | 514.9 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | - | 595 | - | 1,307 | 1,307 | - | 4,972 | 4,972 | - |
| **ხარჯები გრანტი (სუბსიდიები), მ/შ** | | 592.5 | 128 | 134.9 | 464.2 | 117 | 463.2 | 865 | 860.7 | 1,966.6 |
| შრომის ანაზღაურება | | - | 37 | 37.8 | - | 78 | 78.1 | - | 756.5 | 756.5 |
| სოც. ანარიცხები | | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| საქონელი და მომსახურება | | - | 91 | 97.1 | - | 39 | 72.4 | - | 104.2 | 155.2 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | | - | - | - | - | - | 312.7 | - | - | 1,054.9 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | - | - | - | 458.9 | 452.9 | - | 2,688.7 | 2,663.2 | - |

50

# მოგება-ზარალის ანგარიშგება - *საკუთარი სახსრები*

(ათას ლარებში)

| | შენიშვნა | 2007<br>1/7-12/31 | 2008 | 2009 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ არასაბიუჯეტო შემოსავლები** | 4.3 | **3,631.8** | **7,327.5** | **8,511.8** | **19,471.1** |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | | 3,593.9 | 7,300.3 | 8,483.3 | 19,377.5 |
| პროცენტები | | 37.9 | 17.9 | 17.6 | 73.4 |
| სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | | - | 9.3 | 10.9 | 20.2 |
| **სულ ხარჯები** | 4.3 | **3,097.7** | **5,959.8** | **6,393.6** | **15,451.1** |
| შრომის ანაზღაურება მ.შ. | | 1,461.3 | 3,319.8 | 4,334.9 | 9,116.0 |
| ხელფასები | | 740.4 | 2,450.3 | 3,670.2 | - |
| პრემია | | 720.9 | 869.5 | 664.7 | - |
| სოც. ანარიცხები | | 290 | - | - | 290.0 |
| საქონელი და მომსახურება | | 712.3 | 2332.5 | 1,847 | 4,891.8 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი | | - | 722.6 | 901.1 | 1,623.7 |
| მივლინების ხარჯები | | 49.6 | 78.4 | 67.1 | 195.1 |
| ოფისის ხარჯები | | 290.8 | 670.9 | 653.2 | 1,614.9 |
| ტრანსპორტის ხარჯები | | 29.6 | 39.1 | 26.7 | 95.4 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | | 4.7 | 13.0 | 22.6 | 40.3 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახ. | | 337.6 | 808.5 | 176.3 | 1,322.4 |
| კაპიტალური ხარჯი | | 634.1 | - | - | 634.1 |
| სხვა ხარჯები | | - | 150.7 | 19.1 | 169.8 |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | | - | 133.5 | 134.2 | 267.7 |
| სოციალური დახმარებები | | - | 23.3 | 58.4 | 81.7 |
| მოგება დაბეგვრამდე | | 534.1 | 1,367.7 | 2,118.2 | 4,020.0 |

# 1. დებიტორები და კრედიტორები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებისა და დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაციის თანახმად 2007 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ირიცხებოდა 187.4 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. აუდიტის პერიოდში ანგარიში გაიზარდა 2,226.7 ათას ლარამდე. დებიტორული დავალიანებების ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

(ათას ლარებში)

| | 01.07.2007 | 31.12.2007 | 31.12.2008 | 31.12.2009 |
|---|---|---|---|---|
| მივლინება | 1.7 | 0.1 | - | - |
| მოთხოვნები დანაკლისებით | - | - | 0.3 | 10.0 |
| ოფისის ხარჯები (ავანსი) | 46.0 | 2.2 | 2.2 | 2.5 |
| საგადასახადო მოთხოვნები | 98.0 | 117.1 | 40.0 | - |
| არაფინანს. აქტივი (ავანსი) | 41.7 | - | - | 2,214.2 |
| სულ | 187.4 | 119.4 | 42.5 | 2,226.7 |

დებიტორული დავალიანების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: 2009 წლის 24 მარტს, სააგენტოს მიერ ბიომეტრული პასპორტების ბლანკის და პასპორტების ბლანკის პერსონალიზაციის ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი. ტენდერში გამარჯვებულ სს „ობერტურტექნოლოჯიზ"-ს 2009 წლის ბოლომდე ავანსის სახით გადაერიცხა 2,203.0 ათასი ლარი. ხელშეკრულებით კომპანიას წლის ბოლომდე უნდა მოეწოდებინა: 30 ათასი ცალი საქართველოს მოქალაქის ბიომეტრული პასპორტის ბლანკი, 1,500 ცალი საქართველოს მოქალაქის ბიომეტრული პასპორტის ბლანკის ნიმუში, 3000 ცალი დიპლომატიური ბიომეტრული პასპორტის ბლანკი და სხვა საქონელი. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული საქონელი კომპანიას არ მოუწოდებია და შესაბამისად ამ თარიღისათვის საავანსო თანხა ირიცხება დებიტორულ დავალიანებად.

2007 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 329 ათასი ლარის ოდენობით, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი იგი 1,058.1 ათას ლარამდე გაიზარდა. ვალდებულებების ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

(ათას ლარებში)

| | 01.07.2007 | 31.12.2007 | 31.12.2008 | 31.12.2009 |
|---|---|---|---|---|
| მივლინება | 0.1 | - | - | - |
| შრომის ანაზღაურება | 0.8 | - | - | - |
| სხვა საქონელი და მომსახურეობა | 64.4 | 95.3 | 0.4 | 0.7 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 256.8 | 86.5 | 34.5 | 749.2 |
| არაფინანსური აქტივი | 6.9 | - | - | 308.2 |
| **სულ** | **329** | **181.8** | **110.6** | **1,058.1** |

კრედიტორული დავალიანების საერთო მოცულობაში 308,9 ათასი ლარის დავალიანება ძირითადი აქტივების მოწოდებითაა განპირობებული, რომლის ღირებულების ანაზღაურებაც 2009 წელს არ განხორციელებულა, ხოლო ძირითადი ნაწილი, 749.2 ათასი ლარი, გადასახდელი საბიუჯეტო გადასახადების თანხაა. აქედან, გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 566.7 ათასი ლარს, გადასახდელი დღგ 126.6 ათას ლარს და სხვა საბიუჯეტო გადასახადები 55.9 ათას ლარს.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ბალანსები არასწორია, რადგან სააგენტო საბუღალტრო აღრიცხვას ნაწილობრივ აწარმოებს საკასო მეთოდის გამოყენებით.

## 2. არაფინანსური აქტივები

სააგენტოს მონაცემებით არაფინანსური აქტივების ბალანსი 2007 წლის 1 ივლისს შეადგენს 5,573.8 ათას ლარს. აუდიტის პერიოდში მისი ქონება მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ მიღებული მიწისა და შენობა–ნაგებობების, ისე საბიუჯეტო, საგრანტო და საკუთარი სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შედეგად. 2007 წლის მეორე ნახევარში, აგრეთვე 2008 და 2009 წლებში სააგენტოს ბალანსზე შემოსავალში აღრიცხულია 17,302.6 ათასი ლარის (უსასყიდლოდ - 7,643.2 ათასი, შეძენა საბიუჯეტო სახსრებით - 4,670.5 ათასი, გრანტების - 3,376.0 ათასი, არასაბიუჯეტო სახსრებით - 1,310.5 ათასი, სხვა ეკონომიკური ნაკადები – 302.4 ათასი), ხოლო გასავალში 3,650.1 ათასი ლარის ღირებულების აქტივები (უსასყიდლოდ გადაცემა - 433.2 ათასი, სხვა ეკონომიკური ნაკადები – 28.5 ათასი, ძირითადი კაპიტალი მოხმარება – 3,188.4 ათასი), რის შედეგადაც 2009 წლის 31 დეკემბერს ძირითადი აქტივების ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა 19,226.3 ათასი ლარი, რაც 3.4-ჯერ აღემატება 2007 წლის 1 ივლისისათვის არსებულ ნაშთს. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

(ათას ლარებში)

| არაფინანსური აქტივები | სხვა შენობა ნაგებობები | სატრანსპ. საშ. | მანქანა-დანადგარები | სხვა აქტივები | მიწა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნაშთი 01/07/2007 | 2,941.4 | 77 | 2,441.5 | 47.1 | 66.8 | 5,573.8 |
| მიღება: | 5,047.5 | 26 | 9,741.1 | 2,372.6 | 115.4 | 17,302.6 |
| შესყიდვა | 1,184.7 | - | 7811 | 361.3 | - | 9357 |
| უსასყიდლოდ | 3,862.8 | - | 1,653.7 | 2,011.3 | 115.4 | 7,643.2 |
| სხვა ეკ. ნაკადები | - | 26 | 276.4 | | | 302.4 |
| გასვლა: | 575.7 | 44 | 2,681.6 | 330.1 | 18.7 | 3,650.1 |
| გაყიდვა | - | | | | | 0 |
| უსასყიდლოდ | 407.4 | - | 7.1 | - | 18.7 | 433.2 |
| სხვა ეკ. ნაკადები | - | 17.6 | 10.9 | - | | 28.5 |
| ძირ. კაპიტ. მოხმარ. | 168.3 | 26.4 | 2,663.6 | 330.1 | - | 3,188.4 |
| ნაშთი 31/12/2009 | 7,413.2 | 59 | 9,501 | 2,089.6 | 163.5 | 19,226.3 |

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების, პირველადი საბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანებები, უზუფრუქტის ხელშეკრულებები და სხვა) შემოწმებით დადგინდა, რომ ორ შემთხვევაში ძირითადი აქტივების ღირებულება ბალანსში ასახულია არასწორად. კერძოდ, 2008 წლის 10 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით სააგენტოს გადაეცა ქ.ბათუმში, ელიავას ქ. N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობები, საერთო ფართით 245,25 კვ.მ, ნარჩენი ღირებულებით 17.5 ათასი ლარი და მათზე წილობრივად დამაგრებული, 143.432 ლარის ღირებულების 455.34 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი შემოსავალში აღებულია 14,343.2 ლარად, ანუ 129.1 ათასი ლარით ნაკლებად.

2009 წლის 16 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად სააგენტოში მიღებულია სხვადასხვა სახის აქტივები, მათ შორის 339,580 ევროს ღირებულების ბიომეტრული სახის ამომცნობი სისტემის ლიცენზია, რომელიც შემოსავალში აღებულია 775,975 ლარად, რეალურად კი მისი ღირებულება ლარებში შეადგენდა 20,136 ლარით მეტს, ანუ 796,111 ლარს.

ამ ორ შემთხვევაში სხვაობა შეადგენს 149.2 ათას ლარს. შესაბამისად, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს ბალანსზე ძირითადი აქტივების ღირებულება ასახულია 149.2 ათასი ლარით ნაკლებად.

სააგენტოს თავმჯდომარის 2007 წლის 30 აგვისტოს, 2008 წლის 2 ივნისის და 2009 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებების შესაბამისად სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ სამსახურებში ჩატარებულია სააგენტოს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობებისა და მკაცრი აღრიცხვის ბლანკების სრული ინვენტარიზაციები.

შესაბამისი ოქმების მიხედვით, სამივე შემთხვევაში გამოვლენილია მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობები, რაც ახსნილია იმ გარემოებით, რომ ზოგ შემთხვევაში დონორებისაგან ხდებოდა სხვადასხვა სახის ინვენტარის მიღება შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე, ზოგჯერ კი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებიდან უსასყიდლოდ მიღებულ აქტივებზე გვიანდებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. აღნიშნულის შესახებ, დაფიქსირებულია წინა შემოწმებების მასალებშიც. შედეგად ადგილზე არსებული აღურიცხავი ფასეულობების ნაწილზე მოძიებულია შესაბამისი დოკუმენტაცია და აღებულია შემოსავალში, ნაწილი კი აუდიტის ვადის დასრულების დღესაც არ არის შეფასებული და მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული.

ამრიგად, სააგენტოს ბალანსის შესაბამისი მუხლების ბალანსები შემცირებულია ამ ღირებულებებითაც[3].

2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული საომარი მოვლენების გამო, სააგენტომ ვერ შეძლო იმ ტერიტორიული სამსახურების ქონების გამოტანა, რომლებიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებდნენ. ინფორმაცია ამ სამსახურებზე რიცხული მატერიალური ფასეულობების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

---

3 დარღვეულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N 70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, „ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობა მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივ ნაშთებსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის რეგულირდება შემდეგნაირად: 3. ძირითადი საშუალებების, სხვა მატერიალური ფასეულობის, ფულადი საშუალებების ზედმეტობა აიღება შემოსავალში და მიიმართება საწარმოში ფინანსურ შედეგებზე, ხოლო ორგანიზაციაში ფონდების გაზრდაზე“.

(ლარებში)

| N | სამსახურის დასახელება | მატერიალური ფასეულობები | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ერედვის სამსახური | 8,795.5 | 586.0 | 9,381.5 |
| 2 | თიღვის სამსახური | 7,910.5 | 157.0 | 8,067.5 |
| 3 | აჟარის თემის სამსახური | 12,833.1 | 1,055.5 | 13,888.5 |
| 4 | ქურთის სამსახური | 9,277.7 | 337.0 | 9,614.6 |
| 5 | ახალგორის სამსახური | 9,055.9 | 85.7 | 9,141.6 |
| | **ჯამი** | **47,872.6** | **2,221.2** | **50,093.8** |

სააგენტოს ამჟამად ზემოთ ჩამოთვლილი ქონების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია და ვერც განკარგავს. მიუხედავად ამისა ეს აქტვები მაინც ირიცხება სააგენტოს ბალანსზე (2122 ანგარიშზე სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი). შესაბამისად, სააგენტოს ბალანსზე რიცხული მატერიალური მარაგებიდან 50.1 ათასი ლარის ღირებულების ფასეულობების არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, აქედან გამომდინარე მათი აქტივებში ასახვა არასწორია[4].

## 3. სასაქონლო მატერიალური მარაგები

2007 წლის 1 ივლისს სააგენტოს სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენდა 1,243.6 ათას ლარს. ეს ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის შემცირდა 1,141.1 ათას ლარამდე, თუმცა ხარჯებში ჩამოწერილია და საცნობარო მუხლებშია ასახული ექსპლუატაციაში მყოფი 1,472.6 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური მარაგები.

| | 01.07.2007 | 31.12.2007 | 31.12.2008 | 31.12.2009 |
|---|---|---|---|---|
| საბიუჯეტო სახსრებით | 1,072.8 | 1,559.7 | 733.8 | 858.4 |
| გრანტი | 15.8 | 18.2 | 105.1 | 71.6 |
| არასაბიუჯეტო სახსრებით | 155 | 311.3 | 124.7 | 211.1 |
| სულ | **1,243.6** | **1,889.2** | **963.6** | **1,141.1** |

სააგენტოს მიერ არასათანადოდ სრულდება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილს გამოცემული N364 ბრძანების მოთხოვნები. კერძოდ, სამინისტროში წარდგენილ 2008 და 2009 წლების ბალანსებში (ფორმა N1) არ არის შევსებული საცნობარო მუხლების გრაფები. მაგალითად, არ არის დაფიქსირებული ექსპლუატაციაში მყოფი სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთები.

---

4 სააგენტოს მიერ არ სრულდება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 42-ე და 43 მუხლების მე-6 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, მოთხოვნები ორგანიზაციის მომუშავეთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული მატერიალური ფასეულობის და ფულადი სახსრების დანაკლისის თანხებზე აღირიცხება ანგარიშზე - მოთხოვნები დანაკლისებით (1422). ხოლო, თუ დამნაშავის დადგენა ვერ მოხერხდა, 1422 ანგარიშზე არსებული თანხები ხელმძღვანელის განკარგულებით, ჩამოიწერება ხარჯებში.

სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის ბალანსზე რიცხული სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთების საერთო მოცულობაში უდიდესი ხვედრითი წილი მოდის ისეთ მკაცრი აღრიცხვის ბლანკებზე, როგორიცაა: საქართველოს მოქალაქის 32 და 48 გვერდიანი პასპორტების, პირადობის და სხვა სახის მოწმობების ბლანკები, სარეგისტრაციო ჟურნალები და ა.შ. რომელთა ბრუნვა წარმოებს ინტენსიურად. წარმოდგენილი ინფორმაციით 2007, 2008 და 2009 წლებში გაცემულია 870 ათასზე მეტი პასპორტი, 1,256 ათასზე მეტი პირდობის მოწმობა და ა.შ.

აუდიტის პერიოდში მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მოძრაობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

| | მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ღიერბულება (ათ. ლარებში) | მათ შორის 32 გვერდიანი პასპორტის ბლანკი | |
|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | ღირებულება (ათ. ლარებში) |
| **ნაშთი - 1/07/2007** | **679.6** | **22,248** | 97.7 |
| შემოსავალი | 7,442.1 | 784,362 | 6,370.1 |
| გასავალი | 7,279.3 | 740,316 | 5,936.2 |
| **ნაშთი - 31/12/2009** | **842.4** | **66,294** | 531.6 |

აუდიტის პერიოდში, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სააგენტო ახორციელებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სახის მკაცრი აღრიცხვის ბლანკებით მომარაგებას. ამ პერიოდში მხოლოდ პასპორტის ბლანკი გაცემულია 38,498 ერთეული. საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნული ბლანკები გადაცემული აქვს ანაზღაურების გარეშე და მათი შემდგომი განკარგვის შესახებ სააგენტოში ინფორმაცია არ მოიპოვება.

სააგენტოს ერიცხება ისეთი მკაცრი აღრიცხვის ბლანკებიც რომლებიც უკვე აღარ არის ხმარებაში. მათი ნაწილი არ არის შეფასებული და მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული. მაგალითად, სააგენტოს საწყობში ინახება და მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული 19,773 ცალი სსრკ პასპორტი, რომელიც ლოგიკურად უკვე დიდი ხნის განადგურებული უნდა იყოს და საწყობში არ უნდა იკავებდეს გარკვეულ ფართობს.

ასევე, საწყობში ინახება 72,960 ლარის ღირებულების 28,000 ცალი ქართულ-აფხაზური პირადობის მოწმობა, რომელიც ბრუნვაში არ გასულა იმ მიზეზით, რომ მასში არსებული წარწერები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას (პირადობის მოწმობების ბლანკებში „საქართველოს" ნაცვლად წერია „საქართველოს რესპუბლიკა"). ამრიგად, ამ ხნის მანძილზე სააგენტოს ბალანსზე 72,960 ლარად ირიცხება ისეთი ქონება, რომლის გამოყენება შეუძლებელია. გამოუყენებელი

მარაგების სახით საწყობში ასევე ინახება 22 დასახელების (ჯამში 466.2 ათასი ცალი) 106.2 ათასი ლარის ღირებულების ბლანკები, რომლითაც ფაქტიურად გაზრდილია აქტივების ღირებულება[5].

## 4. შემოსავლები და ხარჯები

### 4.1 საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სახსრების დაგეგმვა ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს" საშტატო რიცხოვნობის, სააგენტოს თავმჯდომარის მიერ შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოების, წინა წლებში გაწეული ხარჯების, დასაგეგმი წლის პრიორიტეტების და სხვა საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებით.

იუსტიციის სამინისტროსათვის წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადში ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით. საქართველოს კანონებში შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კი, სააგენტოს დაფინანსება გათვალისწინებულია მხოლოდ სუბსიდიებისა და არაფინანსური აქტივების მუხლებით, ამიტომ შესრულების ანგარიშიც ამ მუხლების მიხედვით კეთდება.

სააგენტოს „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 2006 წლის 29 დეკემბრის N4227 კანონით, „სუბსიდიების" მუხლით განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 8,155.0 ათასი ლარის ოდენობით. 2007 წლის 28 დეკემბერს, ანუ საბიუჯეტო წლის დასრულებამდე 3 დღით ადრე, ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებით (კანონი N5668), სააგენტოს ასიგნებები გრანტებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე გაიზარდა 1,077.8 ათასი ლარით და შეადგინა 9,232.8 ათასი ლარი. აქედან 5,412.4 ათასი ლარი მოდის წლის მეორე ნახევარზე. 2007 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 8,679.1 ათასი ლარი, (მათ შორის გრანტი - 588,9 ათასი ლარი), საიდანაც 4,922.6 ათასი ლარი წლის მეორე ნახევარშია გახარჯული (მათ შორის გრანტი - 128.1 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2008 და 2009 წლების კანონებით სააგენტოს დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო შესაბამისად 8,155.0 ათასი ლარი (მ.შ სუბსიდია 6,565.0 ათასი, არაფინანსური აქტივები - 1,590.0 ათას) და 12,955.0 ათასი ლარი (მ.შ სუბსიდია 8,183.0 ათასი, არაფინანსური აქტივები - 4,772.0 ათასი). ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ოდენობის გრანტების შემოსვლის შედეგად ეს პარამეტრები 9,078.2 ათას (მ.შ სუბსიდია 7,029.3 ათასი, არაფინანსური აქტივები - 2,048.9 ათასი) და 16,508.8 ათას ლარამდე დაზუსტდა (მ.შ. სუბსიდია 9,048.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 7,460.7 ათასი ლარი), ანუ შესაბამისად გაიზარდა 923.2 ათასი და 3,553.8 ათასი ლარით.

2008 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 8,706.9 ათასი ლარი, ანუ დაზუსტებული გეგმის 95,9%, მათ შორის გრანტის სახით გამოყოფილი თანხებიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 569.7 ათასი ლარი, ანუ გრანტის დაზუსტებული გეგმის 61,7%.

---

5 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ანგარიში - მატერიალური მარაგები (2200) - მოიცავს ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ ისეთ მარაგებს, რომლებიც:

ა) ინახება საქონლის, ან მარაგის ფორმით და იხარჯება საწარმოო პროცესში;

ბ) ინახება საქონლის, ან მარაგის ფორმით და იხარჯება ან ნაწილდება მომსახურების გაწევის პროცესში;

გ) ინახება გასაყიდად ან გასანაწილებლად სამეურნეო საქმიანობის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისას;

დ) გამოიყენება გასაყიდი ან გასანაწილებელი პროდუქციის წარმოების პროცესში".

2009 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 1,6478.6 ათასი ლარი, ანუ დაზუსტებული გეგმის 99,8%, მათ შორის გრანტის სახით გამოყოფილი თანხებიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 3,523.9 ათასი ლარი, ანუ გრანტის დაზუსტებული გეგმის 99,2%.

ინფორმაცია 2007, 2008 და 2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებისა და მათი გამოყენების შესახებ მოცემულია ზემოთ, შემოსავლებისა და ხარჯების ცხრილის სახით.

**შრომის ანაზღაურების** მუხლით აუდიტის პერიოდში სააგენტომ გახარჯა 10,147.9 ათასი ლარი, რაც მთლიანი საკასო ხარჯის (30,108.1 ათასი) 33.7%-ს შეადგენს. გაცემულმა პრემიებმა შეადგინა 914.8 ათასი ლარი, რაც საერთო ხარჯის 3.0%-ს შეადგენს

**საქონელი და მომსახურების** მუხლით გაწეული საკასო ხარჯი (9,518.8 ათასი ლარი) მთლიანი ხარჯების 31.6%-ია (წლების მიხედვით, შესაბამისად - 2,170.4 ათასი, 2,551.6 ათასი და 4,796.8 ათასი ლარი), ამ მუხლით ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა შესაბამისად 1,040.3 ათასი, 3,401.2 ათასი და 4,741.9 ათასი ლარი. 2007 და 2008 წლებში მნიშვნელოვანი სხვაობა ფაქტობრივ და საკასო ხარჯებს შორის, გამოწვეულია 2007 წელს დიდი ოდენობით მატერიალური მარაგების შეძენით და მისი დიდი ნაწილის შემდგომ წელს გახარჯვით.

ამ მუხლში შეტანილია გრანტით დაფინანსებული, შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება რომელმაც შეადგინა 871.4 ათასი ლარი.

**მივლინების** ქვემუხლით სულ გახარჯულია 143.1 ათასი ლარი (შესაბამისად 22.3 ათასი, 68.9 ათასი და 51.9 ათასი ლარი). საკითხის შემოწმებით გამოვლინდა ბრძანებების გვიან გამოცემის მასიური შემთხვევები 2007 წელს, რაც თანდათანობით შემცირდა და 2008 და 2009 წლებში დაყვანილ იქნა ერთეულ შემთხვევებამდე. ბრძანებების გამოცემა ძირითადად ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა მივლინებისას გვიანდება. სამივლინებო თანხები ისეა ჩამოწერილი, რომ საავანსო ანგარიშებს ხელს არ აწერენ სააგენტოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი[6].

**ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების** ქვემუხლით 2007, 2008 და 2009 წლებში შესაბამისად გახარჯულია 115.1 ათასი 65.9 ათასი და 252.0 ათასი ლარი. სამი წლის ჯამი შეადგენს 433.0 ათას ლარს რაც მთლიანი ხარჯების 1.4%-ია

## 4.2 გრანტები

აუდიტის პერიოდში სააგენტოს მიღებული აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ფულადი და სასაქონლო გრანტი.

ეფექტური და ტექნიკურად უზრუნველყოფილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის გამარტივებული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2005 წლის 17 ოქტომბერს საქართველოში ეუთოს მისიასა და იუსტიციის სამინისტროს შორის

---

6 დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, „სამეურნეო მივლენის ამსახველ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს ხელს აწერენ ორგანიზაციის ხელმძღვანელი (სხვა უფლებამოსილი პირი) და ბუღალტერი, ან მათი შემცვლელი პირები".

გაფორმებული ხელშეკრულების (N118/EXB-ROL/05-1A1) საფუძველზე მიღებული საერთო დაფინანსებიდან (1,840.2 ათასი ევრო), 2007 წლის მეორე ნახევარში სააგენტოს მიღებული აქვს 67.9 ათასი ლარი. ამ თანხიდან, 1 ივლისისთვის რიცხულ ნაშთთან (70.5 ათასი ლარი) ერთად გაწეულია 121.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი და დარჩენილი 17.3 ათასი ლარი დაუბრუნდა დონორს.

ოფისების რემონტის, აღჭურვის, სათანადო მოწყობილობის შესყიდვის და დამონტაჟების, აგრეთვე სამოქალაქო რეესტრის რეფორმის განხორციელების მიზნით, 2005 წლის 7 მარტის საგრანტო ხელშეკრულებით საბერძნეთის მთავრობის მიერ იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილ იქნა გრანტი 300,0 ათასი ევროს ოდენობით. ფაქტობრივად მიღებულია 471.6 ათასი ლარი, რომელიც გამოყენებულია დანიშნულებისამებრ.

ლტოლვილთა საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების დამზადების, 2008 წელს საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის აღრიცხვისა და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ოფისის გასარემონტებლად „გლუკის“ მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილია 1,208.2 ათასი ლარის გრანტი, საიდანაც გახარჯულია 1,178.3 ათასი ლარი, დარჩენილი 30.0 ათასი ლარი დაბრუნებულია დონორისათვის.

მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრის ასაგებად გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტი 2,450.7 ათასი ლარი სრულად არის ათვისებული.

სააგენტოს მიერ ამ სახსრებიდან დღგ-ს სახით მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხების დიდი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოთხოვნილია ბიუჯეტიდან და დაბრუნებულია დონორებისათვის. საგადასახადო სამსახურში შესაბამისი მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენის გამო სააგენტომ ვერ დაიბრუნა 2007 წლის ივლის-აგვისტოში დღგ-ს სახით გადახდილი 1.3 ათასი ლარი, რის გამოც აღნიშნული თანხა დონორს ვეღარ დაუბრუნდა.

ინფორმაცია ფულადი გრანტების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)

| N | პერიოდი | ხელშეკრულების ნომერი და თარიღი | საწყისი ნაშთი | ფაქტ. მიღებული გრანტი | ფაქტ. გახარჯული გრანტი | საბოლოო ნაშთი | გრანტის დანიშნულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2007 1/7-31/12 | ეუთოს გრანტი N118/EXB-ROL/05-1A1 | 70.6 | 67.9 | 121,1 | 17,3 დაუბრუნდა დონორს | „სამოქალაქო რეგისტრაციისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის რეფორმის ხელშეწყობის“ პროექტის |
| 2 | 2007 1/7-31/12 | საბერძნეთის გრანტი | – | 471,6 | 7,0 | 464,6 | სამოქალაქო რეესტრის რეფორმის განხორციელება. ოფისების რემონტი, აღჭურვა, მოწყობილობების შესყიდვა-დამონტაჟება, მიზნით. |
| | სულ | | 70,6 | 539.5 | 128,1 | 464,6 | |
| 3 | 2008 | საბერძნეთის | 464,6 | | 464,5 | 0,03 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გრანტი | | | | | |
| 4 | 2008 | „გლუკი“ N0000000070 13,06,08 | | 29,4 | | 29,4 | ლტოლვილთა საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების დამზადება. |
| 5 | 2008 | „გლუკი“ N0000000075 24,09,08 | | 345,1 | 97,3 | 247,8 | ომით დაზარალებული მოსახლეობის აღრიცხვა |
| 6 | 2008 | „გლუკი“ N0000000075 24,09,08 | | 84 | 7,9 | 76,1 | ტერიტორიული სამსახურების ოფისების რემონტები |
| | სულ | | 464,6 | 458,5 | 105,2 | 353,3 | |
| 7 | 2009 | „გლუკი“ N0000000070 13,06,08 | 29,4 | | 26,5 | 2,9 | „------“ |
| 8 | 2009 | „გლუკი“ N0000000092 13,06,08 | 323,9 | | 317,9 | 6,0 | „------“ |
| 9 | 2009 | „გლუკი“ N0000000092 24,09,08 | I ჩარიცხვა | 333,6 | 318.3 | 15.3 | „-----“ |
| 10 | 2009 | „გლუკი“ N00000000130 24,09,08 | II ჩარიცხვა | 416.1 | 410.3 | 5.8 | „-------“ |
| 11 | 2009 | გერმანიის მთავრობის გრანტი | | 2,450,7 | 2,450,7 | | მონაცემთა დამუშავების სარეზერვო ცენტრის აგება |
| | სულ | | **353,2** | **3,200,4** | **3,523,9** | **30** (*დაუბრუნდა დონორს*) | |

გარდა ამისა, „გლუკის“ და ევროკავშირის მიერ გადმოცემულია შესაბამისად 798.9 ათასი და 2,557.2 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო გრანტი.

იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა დონორის მიერ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებისათვის ხდებოდა სასაქონლო გრანტის გადაცემა შესაბამისი დოკუმენტების გარეშე, სააგენტოს მხრიდან კი გვიანდებოდა მათი შეფასება და შემოსავლად აღიარება, რის გამოც წლიურ ინვენტარიზაციებში ფიქსირდებოდა, როგორც მატერიალური ფასეულობების ზედმეტობა. რეალურად ეს არის შემოსავლების დაგვიანებით აღიარება და არა ზედმეტობა.

## 4.3 არასაბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები

### არასაბიუჯეტო შემოსავლები

სააგენტო წარმოადგენს სტაბილურად შემოსავლიან ორგანიზაციას. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 1,952,2 ათასი ლარს. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყოველწლიურად უმჯობესდება. შედეგად, ამავე პერიოდისათვის

მას ბალანსზე 7,413.2 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, 9,560.0 ათასი ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, 1,141.1 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები და სხვა არაფინანსური აქტივები ერიცხება. უმნიშვნელოა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მოცულობა.

სააგენტოს მიერ საკუთარი შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების დაგეგმვა ხორციელდებოდა გასული წლების სტატისტიკური მონაცემების და კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. იგეგმებოდა მხოლოდ წლიური ჯამური მაჩვენებლები და არ ხდებოდა მათი კვარტალური ჩაშლა. საგეგმო პარამეტრები მტკიცდებოდა სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და წლის განმავლობაში კორექტირდებოდა შესრულების მიმდინარეობის მიხედვით. საგეგმო პარამეტრების კორექტირება დეკემბრის ბოლოსაც ხორციელდებოდა, რის შედეგადაც ხდებოდა საგეგმო პარამეტრების ფაქტობრივ მდგომარეობასთან მაქსიმალურად დაახლოება. სააგენტოს არ ჰქონია სამინისტროსთან შეთანხმებული ერთიანი ბიზნეს-გეგმა.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო მოქალაქეებს უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას, რისთვისაც, აუდიტის პერიოდში „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული იყო როგორც სახელმწიფო ბაჟი, ისე მომსახურების საფასური. იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ბაჟის თანხა ირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში, მომსახურებისათვის დაწესებული საფასური კი სააგენტოს ანგარიშზე. წარმოდგენილი ინფორმაციით, სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულია 9,718.0 ათასი, 2008 წელს 11,244.7 ათასი და 2009 წელს 10,810.3 ათასი ლარი.

აუდიტის პერიოდში საკუთარი შემოსავლების სახით სააგენტოს მიღებული აქვს 19,471.1 ათასი ლარი (2007 წლის მეორე ნახევარში - 3,631.8 ათასი, 2008 წელს - 7,327.5 ათასი და 2009 წელს 8,511.8 ათასი ლარი). აქედან 73.4 ათასი ლარი (შემოსავლების 0.4%) ბანკის მიერ ანგარიშზე არსებულ თანხებზე სარგებლის სახით დარიცხული თანხაა. დანარჩენი 19,397.7 ათასი ლარი (შემოსავლების 99.2%) ასახულია, როგორც სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლები, თუმცა აქ შედის მომწოდებლებზე ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს და საბანკო გარანტიის ამოქმედებით მიღებული სახსრები ჯამში 128.0 ათასი ლარი, რაც არასწორია[7].

გარდა ამისა სააგენტოში მომწოდებლებზე ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის დარიცხულ პირგასამტეხლოსა და საბანკო გარანტიის ამოქმედებით მიღებულ ზემოხსენებულ სახსრებზე ხდება დამატებულ ღირებულების გადასახადის დარიცხვა. 2007 წლის დეკემბერში სააგენტოს მიერ საკუთარი სახსრებით ზუგდიდის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ჰიდრომშენსპეცპროექტმა“ (სახელშეკრულებო ღირებულება - 249,514 ლარი), ვერ შეასრულა აღებული ვალდებულება და პირგასამტეხლოს სახით დაერიცხა 24,754 ლარი. აღნიშნული თანხა 2008 წლის 5 ივლისს ჩაირიცხა სააგენტოს ანგარიშზე. აქედან 20,978 ლარი ბუღალტერიის მიერ გატარებულია, როგორც „საქონლისა და მომსახურების გაყიდვები“ (ანგარიში 6423, ნაცვლად ანგარიში 6430-ისა), ხოლო 3,776 ლარი გატარებულია, 3223 ანგარიშზე,

---

7 დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-40 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულებით პირობების დარღვევისათვის დარიცხული სანქციები აღირიცხება 6430 ანგარიშზე.

როგორც გადასახდელი დღგ[8], რაც არასწორია რადგან ამ სახის შემოსავლები არ შეიძლება დღგ-თი დაბეგვრის ობიექტად განვიხილოთ.

სააგენტო არ აღრიცხავს მომსახურებით მიღებული შემოსავლებს ცალკეული სახეობების მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ დაქვემდებარებული სამსახურებისაგან წარმოდგენილია ყველა საჭირო ანგარიშები. ამ ანგარიშებში სახეობების მიხედვითაა გაშიფრული მათ მიერ გაწეული მომსახურებით მისაღები შემოსავლები.

### არასაბიუჯეტო ხარჯები

აუდიტის პერიოდში სააგენტოს მიერ საკუთარი სახსრებიდან გაწეული ხარჯების ანალიზი ქვემუხლების მიხედვით წარმოდგენილა ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)

| N | დასახელება | საკასო | დარიცხული | საკასო | დარიცხული | საკასო | დარიცხული |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2007 1/7-31/12 | | 2008 | | 2009 | |
| 1.1 | **შრომის ანაზღაურება** | 1,461.3 | 1,461.3 | 3,319.8 | 3,319.8 | 4,334.9 | 4,334.9 |
| 1.1.1. | მ.შ. თანამდებობრივი | 740.4 | 740.4 | 2,450.3 | 2,450.3 | 3,670.2 | 3,670.2 |
| 1.1.5. | პრემია | 720.9 | 720.9 | 869.5 | 869.5 | 664.7 | 664.7 |
| | სოც ანარიცხები | 290 | 290 | - | - | - | - |
| 1.2 | **საქონელი და მომსახურება** | 1,612.0 | 712.3 | 1,593.3 | 2,332.5 | 1,670.7 | 1,847.0 |
| | შტატგარეშეთა ანაზღაურება | - | - | 722.6 | 722.6 | 901.1 | 901.1 |
| | მივლინება | 49.6 | 49.6 | 78.4 | 78.4 | 67.1 | 67.1 |
| | ოფისის ხარჯი | 1,166.8 | 290.8 | 721 | 670.9 | 653.2 | 653.2 |
| | წარმომადგენლობითი | 4.7 | 4.7 | 13.0 | 13.0 | 22.6 | 22.6 |
| | ტრანსპოტრისა და ტექნიკის ექსპლ. | 29.5 | 29.6 | 39.1 | 39.1 | 26.7 | 26.7 |
| | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 361.4 | 337.6 | 19.2 | 808.5 | - | 176.3 |
| | **სხვა ხარჯები** | - | - | 150.7 | 150.7 | 78.1 | 19.1 |
| 1.3. | **ძირითადი კაპიტალის მოხმარება** | - | - | | 133.5 | - | 134.2 |
| 1.4. | **სოციალური უზრუნველყოფა** | - | - | 23.3 | 23.3 | 58.4 | 58.4 |
| 1.5. | **ბიუჯეტის გადასახადები** | 417.5 | 417.5 | 1,310 | 1,310 | 1,327.1 | 1,327.1 |
| 1.5.1. | ქონების გადასაადი და სხვა საგად.ხარჯი | 23.8 | 23.8 | 1,160.7 | 1,160 | 1,179.5 | 1,179.5 |

8 დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 44-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ანგარიშზე - გადასახდელი დღგ (3223) აღირიცხება საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციისათვის, ასევე საქონლის დასაბეგრ იმპორტზე დარიცხული დღგ-ს გადასახადი და არა სანქციები.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.5.2. | მოგების გადასახადი | 393.7 | 393.7 | 150.0 | 150.0 | 147.6 | 147.6 |
| 1.5.5. | სესხი | - | - | - | - | 75.7 | - |
| | კაპიტალური ხარჯები | 634.1 | 634.1 | - | - | - | - |
| | **არაფინანსური აქტივები მ.შ** | - | - | 1,038.7 | 1,225.3 | 732.9 | 635.7 |
| | ძირთადი აქტივები | - | - | 436.0 | 436.0 | 240.3 | 240.3 |
| | მატერიალური მარაგები მ.შ | - | - | 602.7 | 789.3 | 262.3 | 176.3 |
| | საწვავი | - | - | 173.0 | 192.3 | 11.1 | 7.3 |
| | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | - | - | 103.8 | 314.8 | 148.5 | 36.3 |
| | მცირეფასიანი სა სწრაფცვეთადი საგნები | - | - | 325.9 | 282.2 | 102.7 | 132.3 |
| | **არაწარმოებული მატერიალური აქტივები** | - | - | - | - | 230.6 | 219.1 |

სულ ამ პერიოდში საკუთარი სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა 20,128.6 ათასი ლარი შეადგინა (2007 წლის მეორე ნახევარში - 4,414.9 ათასი, 2008 წელს - 7,435.9 ათასი და 2009 წელს - 8,277.8 ათასი ლარი).

**შრომის ანაზღაურების** ხარჯის თითქმის ნახევარი, 9,116 ათასი ლარი (45.3%) შრომის ანაზღაურების მუხლითაა გახარჯული. გარდა ამისა შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გაცემულია კიდევ 1,623.7 ათასი ლარი, რომელიც ასახულია საქონელი და მომსახურების მუხლში. ჯამში შრომის ანაზღაურებისათვის გაწეულია 10,739.7 ლარის (53.4%) საკასო ხარჯი.
უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთია (დეპარტამენტის თავმჯდომარის) – 4,200 ლარი, უმცირესი კი (დამხმარე მოსამსახურის) 245 ლარი.

შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯებიდან პრემიების სახით გაცემულია 2,419.3 ათასი ლარი (მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 164.2 ათასი ლარის პრემია), რაც შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული მთლიანი ხარჯის 22.5%-ს შეადგენს.

სააგენტოში არასათანადოდ იგეგმება ფულადი ნაკადების მოძრაობა, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 2008 წლის მანძილზე საკუთარი სახსრებიდან 1,013.3 ათასი ლარია გაცემული პრემიების სახით და წლის ბოლოს ბანკიდან სესხია აღებული 75.7 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილია 2009 წელს.

წარმოდგენილი ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი შტატით მომუშავეთა გეგმური ოდენობა 2007, 2008 და 2009 წლებში განსაზღვრული იყო შესაბამისად 768, 765 და 775 ერთეულით. ზემოხსენებული ცნობის თანახმად, სულ ფაქტობრივად მომუშავეთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა შესაბამისად 815, 837 და 866 თანამშრომელს, მათ შორის არასაბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა იყო შესაბამისად 86, 116 და 128 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურება დარიცხულ პრემიებთან ერთად 2008 და 2009 წლებში შესაბამისად შეადგენდა 722.6 ათას და 901.1 ათას ლარს და 2007 წლისგან განსხვავებით აისახა სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში. სააგენტოში დასაქმებულ შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა საშუალოდ იყო 110 კაცის ფარგლებში, რაც შტატიან მომუშავეთა გეგმური რაოდენობის თითქმის 14%-ია.

**საქონელი და მომსახურების** მუხლით გაწეულია 4,876.0 ათასი ლარის ხარჯი, რაც მთლიანი ხარჯების 24.2%-ს შეადგენს. აქედან 33.3% შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გაცემულია 1,623.7 ათასი ლარი. დანარჩენი თანხა ძირითადად გახარჯულია ოფისის და კავშირგაბმულობის ხარჯების (შესაბამისად 1,118.3 ათასი და 1,051.1 ათასი ლარი)

დასაფინანსებლად. შედარებით მცირეა კომუნალური (349.9 ათასი ლარი), მივლინების (195.1 ათასი ლარი) და ტრანსპორტის რემონტის - 95.3 ათასი ლარი ხარჯები. უმნიშვნელოა წარმომადგენლობითი ხარჯების (40.3 ათასი ლარი) ხვედრითი წილი.

**არაფინანსური აქტივების ზრდის** მუხლით გაწეულია 1,771.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი (საერთო ხარჯების 8.8%), საიდანაც ძირითადი აქტივების შესაძენად გადახდილია 676.3 ათასი, საწვავის შესაძენად 184.1 ათასი, მკაცრი აღრიცხვის ბლანკებისათვის კი 252.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტში (დღგ-ს გარეშე) გადახდილმა თანხამ 3,054.6 ათასი ლარი შეადგინა.

## შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან

სააგენტოს მიერ როგორც საბიუჯეტო ისე საკუთარი სახსრებით, 2007 წლის 1 ივლისიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 1,366 ხელშეკრულება, საიდანაც 96%, ანუ 1,311 ხელშეკრულება გაფორმებულია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 15 შემთხვევაში ჩატარებულია ფასთა კოტირება, 40 შემთხვევაში კი ტენდერი.

აღნიშნული საკითხის შემოწმებით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები:

ა) სააგენტოს მიერ არც ერთ შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა განცხადებები საერთაშორისო ტენდერების ჩატარების შესახებ უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, მიუხედავად იმისა, რომ შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულება 6 შემთხვევაში გაცილებით აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ 600.0 ათას ლარს[9]. ამ ტენდერების შესახებ განცხადებები ქვეყნდებოდა მხოლოდ ადგილობრივ ბეჭურ მედიაში როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან გამოცემებში და იგზავნებოდა საკონსულო დეპარტამენტში საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებისათვის მისაწოდებლად. ამ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო პრეტენდენტების მცირე რაოდენობამ.

2009 წლის 14 აპრილს სარეზერვო მონაცემთა დამუშავების სერვერული ცენტრის აგების და არსებულ მონაცემთა დამუშავების სერვერული ცენტრის განახლების სამუშაოთა შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 2,700.0 ათას ლარს, სატენდერო დოკუმენტაცია შეიძინა სამმა კომპანიამ, მათგან სატენდერო წინადადება მხოლოდ შპს „იუ-ჯი-თი"-მ წარმოადგინა. იმის გამო, რომ სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა განცხადებით მოთხოვნილ პირობებს, ეს პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა და ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. 25 მაისს ტენდერი გამოცხადდა განმეორებით, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 2,745.1 ათას ლარს. მონაწილეობა ამ შემთხვევაშიც მხოლოდ შპს „იუ-ჯი-თიმ" მიიღო და სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 1,169.8 ათას ევროს (2,704.4 ათასი ლარი). შპს „იუ-ჯი-თი"ამ ტენდერში გამოცხადდა გამარჯვებულად.

---

9. დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც, ისეთი ტენდერის ჩატარებისას, როდესაც შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 600.0 ათას ლარს, სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ტენდერის შესახებ განცხადებას „სხვა საინფორმაციო საშუალებების გარდა აქვეყნებს უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით".

2008 წლის მანძილზე საქართველოს მოქალაქის 32 გვერდიანი პასპორტის ბლანკების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადდა ორჯერ, თავდაპირველად 200.0 ათასი ცალის და მეორედ 350.0 ათასი ცალის შესასყიდად. სატენდერო წინადადება ორივე შემთხვევაში ერთმა პრეტენდენტმა, კომპანია „იმპრიმერიე ნაციონალ კონტინუნ ეტ სერვის"-მა წარმოადგინა (სატენდერო წინადადებების ღირებულება იყო 560,0 ათასი ევრო, ანუ 2.8 ევრო ერთ ბლანკზე და 1,022.0 ათასი ევრო, ანუ 2.92 ევრო ერთ ბლანკზე). აღნიშნული კომპანია გასულ 2007 წელსაც აწვდიდა სააგენტოს ამ ბლანკებს. პრეტენდენტი ორივე შემთხვევაში გამოცხადდა გამარჯვებულად. აქედან გამომდინარე ეს ტენდერებიც კონკურენციის გარეშე ჩატარდა.

არასაკმარისი კონკურენციის პირობებში ჩატარდა 90 ცალი ფოტოჯიხურის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერიც. შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 2,338.0 ათას ლარს. სატენდერო წინადადებების სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებულია, რომ სატენდერო დოკუმენტაცია შეიძინა რვა კომპანიამ, მათგან წინადადება წარმოადგინა მხოლოდ შპს „აი-ბი ჯორჯიამ" (სატენდერო წინადადებების ღირებულება 1,051.4 ათასი ევრო) და შპს „ნეოტექსმა" (სატენდერო წინადადებების ღირებულება 1,740.9 ათასი ევრო). შპს „ნეოტექსის" სატენდერო წინადადების ღირებულება აღემატებოდა შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულებას და დისკვალიფირებულ იქნა ტენდერიდან. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „აი-ბი ჯორჯია".

ამრიგად, სააგენტოს მიერ ვერ მოხერხდა საერთაშორისო ტენდერების ორგანიზება, რომ მიღწეულიყო კონკურენციის მაღალი დონე, რაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია (მე-2 მუხლის ბ) პუნქტით: კანონის მიზანია „სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება").

სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არასათანადო ყურადღება ექცევა ანგარიშსწორების ფორმებსა და პირობებს. არ ხდება ამ კრიტერიუმის გამოყენება სატენდერო წინადადებების შეფასებისას, რადგან შემსყიდველისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია მიმწოდებლებისათვის წინასწარ ექნება გადასახდელი თანხა, თუ საქონლის მოწოდების შემდეგ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, უმეტეს შემთხვევაში არ არის დაზუსტებული და დაკონკრეტებული, მომწოდებელთან ანგარიშსწორებისას გამოიყენება წინასწარი გადახდის მექანიზმი, თუ ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მაშინ როდესაც, დებულების მიხედვით ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მეშვეობით უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება, დაზუსტება და ცალკეული შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების დაკონკრეტება.

მაგალითად, 90 ცალი ფოტოჯიხურის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ზემოხსენებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია შპს „აი-ბი ჯორჯია"-სთან 2009 წლის 3 ივნისს გაფორმებულია ხელშეკრულება N01-124 საერთო ღირებულებით 1,051.4 ათასი ევრო. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის (ანგარიშსწორება) 7.2 პუნქტი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

*„7.2 ანგარიშსწორების ვადა - საქონლის ყოველი ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღე".*

ამავე ხელშეკრულების 7.4 პუნქტში კი დაფიქსირებულია, რომ:

*„წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში მიმწოდებლი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას გარანტია შემდეგი ფორმითა და ოდენობით, არაუმეტეს სატენდერო წინადადების ღირებულების 20%-ისა".*

ამრიგად ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული ანგარიშსწორების ფორმები და პირობები[10]. სააგენტოს მიერ გადაცემულ სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემების ნუსხის 9.1 მუხლში მითითებულია თუ რა დამატებით დაკუმენტებსა და ინფორმაციას უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. მათ შორის პირველია „ინფორმაცია გადახდის ვადების შესახებ". თუმცა შპს „აი-ბი ჯორჯია"-ს სატენდერო წინადადებაში ასეთი დანართი არ მოიპოვება და არც სააგენტოს სატენდერო კომისიის მიერ მომხდარა ამ საკითხის დაზუსტება.

ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში მიმწოდებლმა, იმ მოტივით, რომ მის პარტნიორ კომპანიას „Dedem Automatica S.r.I"-ს ფოტოჯიხურების საჭირო ნაწილების შესყიდვაზე შეექმნა პრობლემები, ითხოვა 600.0 ათასი ევრო ავანსის სახით და წარმოადგინა შესაბამისი საბანკო გარანტია. 2009 წლის 16 ივლისს მას ავანსად გადაერიცხა 493.0 ათასი ლარი, ანუ სატენდერო წინადადების ღირებულების 20%.

2009 წლის 13 ივლისს მიმწოდებლთან გაფორმდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ავანსის ოდენობა სატენდერო წინადადების ღირებულების 20%-იდან 60%-მდე გაიზარდა. შემდეგ მიმწოდებლს გადაერიცხა კიდევ 215.1 ათასი (28.07.2009) და 540.9 ათასი ლარი (1.09.2009) და ავანსად გადარიცხული 1,249.0 ათასი ლარი, მის ანგარიშზე დებიტორული დავალიანების სახით ირიცხებოდა 17 ნოემბრამდე. 17 ნოემბერს მოწოდებულ იქნა 585.9 ათასი ლარის ღირებულების ფოტოჯიხურები და დავალიანება შემცირდა 663.1 ათას ლარამდე, რომელიც ირიცხებოდა 18 დეკემბრამდე. 18 დეკემბერს მომწოდებელმა შეასრულა თავისი ვალდებულება და შესაბამისი თანხაც (1,272.0 ათასი ლარი) იმავე დღეს გადაერიცხა.

ანალოგიურად, ბიომეტრული პასპორტების ბლანკის და პასპორტების ბლანკის პერსონალიზაციის ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია სს „ობერტურ ტექნოლოჯიზ"-თან 2009 წლის 23 ივნისს გაფორმებულია ხელშეკრულება N01-146 საერთო ღირებულებით 7,564.9 ათასი ევრო. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის (ანგარიშსწორება) 7.2 პუნქტი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

*„7.2 ანგარიშსწორების ვადა - შესყიდვის ობიექტის ყოველი ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 40 კალენდარული დღისა".*

ამავე ხელშეკრულების 7.4 პუნქტში კი დაფიქსირებულია, რომ:

*„მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადების ღირებულების არაუმეტეს 20%-ის წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოცულობის ფარგლებში."*

---

10 დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შესატან აუცილებელ ელემენტად და პირობად დაფიქსირებულია „ზ) ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი".

ამრიგად ამ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული ანგარიშსწორების ფორმები და პირობები, თანაც წინასწარი ანგარიშსწორება უფლებამოსილებადაა მოხსენიებული და არა მოვალეობად.

2009 წლის 22 ივლისიდან 23 ოქტომბრამდე მიმწოდებელს ავანსის სახით გადაერიცხა 2,203.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი საბანკო გარანტია გაცემულია 6 ივლისს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 13 დღეში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით მიმწოდებელს წლის ბოლომდე უნდა მოეწოდებინა სხვადასხვა ოდენობის ბლანკები და სხვა საქონელი, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაფერი არ ჰქონდა მოწოდებული და ამ თარიღისათვის საავანსო თანხა ირიცხება დებიტორულ დავალიანებად.

ბ) 2009 წლის თებერვლამდე გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო დაკონკრეტებული ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირების ვინაობა და მითითებული იყო, რომ ამ ფუნქციას ასრულებდნენ სააგენტოს შესყიდვების და ლოჯისტიკის სამსახურების, ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლები[11]. 2009 წლის თებერვლიდან ეს ნაკლოვანება ძირითადად გამოსწორებულია.

გ) 2007 წლის 4 ივლისს სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულის და ფასადის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი. სატენდერო კომისიის 2007 წლის 23 ივლისის N2 სხდომის ოქმის მიხედვით სატენდერო წინადადება წარმოადგინა შვიდმა პრეტენდენტმა. ოქმში მითითებულია პრეტენდენტების სახელწოდებები, ნათქვამია რომ გამოცხადდა მათი სატენდერო წინადადებების ფასები, მაგრამ აღნიშნული ფასები ოქმში საერთოდ არ არის დაფიქსირებული[12]. სატენდერო წინადადებების ფასები არ არის დაფიქსირებული არც სატენდერო კომისიის 2007 წლის 26 ივლისის სხდომის N3 შემაჯამებელ ოქმში.

დ) რამდენიმე შემთხვევაში დარღვეულია ხელშეკრულებების ნუმერაციის თანამიმდევრობა. მაგალითად, 2009 წლის 5 იანვარს შპს „საქართველოს ფოსტასთან" და შპს „გაერთიანებულ ტელეკომთან" გაფორმებულია ხელშეკრულებები N01-05 და N01-07, ხოლო N01-06 გამოტოვებულია. ანალოგიურად, 2009 წლის 15 ივლისს ფ.პ ლევან იოსელიანთან და შპს „სოფტმასტერთან" გაფორმებულია ხელშეკრულებები N02-100 და N02-102, ხოლო N02-101 გამოტოვებულია. ასევე, 30 იანვარს ფ/პ „თენგიზ ტაბატაძესთან" გაფორმებულია ხელშეკრულება

---

11 დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველ ორგანიზაციას ევალება გამოყოს კოორდინატორი ან თანამშრომელთა შემადგენლობით შექმნას სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი (შემდგომში _ ინსპექტირების ჯგუფი)".

12 დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც „სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე იმართება სატენდერო კომისიის სხდომა, რომელზეც პრეტენდენტების თანდასწრებით ერთობლივად იხსნება სატენდერო წინადადებები, ცხადდება სატენდერო წინადადებების წარმომდგენი პრეტენდენტების სახელწოდება, ვინაობა (ფიზიკური პირის შემთხვევაში), სატენდერო წინადადებების და ალტერნატიული წინადადებების ფასი, რაც უნდა აისახოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში".

ხელშეკრულება N01-35, ხოლო 1 და 3 თებერვალს შპს „გაერთიანებულ ტელეკომთან"და „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან გაფორმებულია ხელშეკრულებები N01-35/1 და N01-35/2. ანალოგიურად, 2009 წლის 10 აპრილს შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია ელ-ეს-ჯისთან" და შპს აუდიტორულ ფირმა „ორბთან" გაფორმებულია ხელშეკრულებები N01-90 და N01-91/1.

**აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი:**
საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.